

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტი

პროფესიული ეთიკა
საქართველოს პარლამენტში:
მიმდინარე გამოწვევები და მომავლის ხედვა

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

Înstrucțiunile pentru Politicieni Publici
București



თბილისი
2014

ანგარიში მოამზადა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა რუმინეთის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტის (ბუქარესტი) და მოლდოვას „ვიტორულ“ (კიშინიოვი) არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივად განხორციელებული პროექტის „პარლამენტარების ქცევის წესი – რუმინეთის, მოლდოვის რესპუბლიკისა და საქართველოს პარლამენტის მიმართ ნდობისა და ლეგიტიმაციის გაზრდა“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებული იყო *შავი ზღვის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისათვის* მიერ (გერმანიის მარშალის ფონდი). ანგარიშზე მუშაობისას ავტორებს მხარდაჭერა ასევე გაუწია, ორგანიზაციამ ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისათვის (პრიუსელი), ჰოლანდიის სამეფომ.

პროექტის მიზანია, შეისწავლოს რუმინეთის, მოლდოვას და საქართველოს პარლამენტებში არსებული ვითარება ეთიკური ნორმების და ქცევის წესების დაცვის თვალსაზრისით და დასახოს მისი გაუმჯობესების გზები.

წარმოდგენილი ანგარიში მოამზადეს თამარ პატარაიამ და გია ნოდიამ. დანართის სახით, გამოცემაში შევიდა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული მასალები რუმინეთის და მოლდოვას გამოცდილებაზე.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელი მხოლოდ ავტორები არიან და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ ემთხვევა დონორი ორგანიზაციის პოზიციას

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

Instituția pentru Politici Publice
București



Kingdom of the Netherlands



Press Freedom Consortium



ISBN 978-99928-37-44-3

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

თბილისი, 0154, აკაკი წერეთლის გამზირი 72
ტელ: +995 32 2355154, ფაქსი: 2355754
ინტერნეტ-გვერდი: www.cipdd.org

სარჩევი

პროფესიული ეთიკა საქართველოს პარლამენტში: მიმდინარე გამოწვევები და მომავლის ხედვა	4
შესავალი	4
ძირითადი მიგნებები	5
კვლევის მეთოდოლოგია	6
საერთაშორისო გამოცდილება	7
პარლამენტის მანდატსა და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და წარმომადგენლობითობის სხვა მარეგულირებელი ნორმები	9
კანონმდებლობა	9
ზოგადი ფონი: წარმომადგენლობითობა და ანგარიშვალდებულება საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში	12
პარტიის და პარლამენტარის ანგარიშვალდებულების მექანიზმები ...	16
როგორ უნდა მოხდეს პარლამენტის წევრთა ქცევის რეგულირება? შიდასაპარლამენტო დისკუსია	17
როგორ არღვევენ ქართველი პარლამენტარები პროფესიული და ეთიკური ქცევის სტანდარტებს?	21
„ცრუ ქვორუმი“ და სისტემური გაცდენები	21
პარლამენტართა არაცივილური ქცევა	24
ფინანსური ანგარიშგება და ინტერესთა კონფლიქტები	25
სხვა პრობლემები	26
საზოგადოების დამოკიდებულება პარლამენტარების ქცევის ეთიკურობისა და პროფესიონალიზმის მიმართ	27
როგორ უნდა ამაღლდეს პარლამენტართა პროფესიული ქცევის სტანდარტები: რეკომენდაციები	31
დანართები:	
დანართი I. რუმინეთის და მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტი: ანგარიშის მოკლე რეზიუმე	33
Annex II. Parliamentary Ethics in Georgia, Romania and the Republic of Moldova: Executive Summary	41

პროფესიული ეთიკა საქართველოს პარლამენტში: მიმდინარე გამოწვევები და მომავლის ხედვა

შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი კანონმდებლობა განსაზღვრავს საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის და მის წევრთა ფუნქციებს, უფლებებს და მოვალეობებს. უშუალოდ პარლამენტის ფუნქციონირების კონკრეტულ წესებს მისი რეგლამენტი ადგენს. მაგრამ არის პარლამენტართა ქცევის სხვა მხარეები, რაც მათ კეთილსინდისიერებას, ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშვალდებულებას, ერთმანეთის მიმართ კოლეგიალურ და ცივილურ დამოკიდებულებას უკავშირდება. ამას პარლამენტარის ქცევის პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს უწოდებენ. მათი დაცვა მნიშვნელოვანია როგორც საკანონმდებლო ორგანოს ეფექტური მუშაობისთვის, ისე საზოგადოების თვალში მის მიმართ ნდობის ასამაღლებლად.

პარლამენტარის ქცევის ეთიკური სტანდარტები შეიძლება დაუწერელი კანონებით რეგულირდებოდეს, მაგრამ ბოლო პერიოდში საერთაშორისო პრაქტიკა იქით იხრება, რომ ასეთი ნორმების ფორმალიზაცია მოხდეს. ბევრი ქვეყნის პარლამენტი იღებს დოკუმენტებს, რომლებიც მკაფიოდ აყალიბებს პარლამენტართა პროფესიული ეთიკის ნორმებს და ადგენს კონკრეტულ მექანიზმებს მათი დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ეს ტენდენცია პასუხობს საზოგადოების გაზრდილ ყურადღებას თავის წარმომადგენელთა ქცევის ყველა ასპექტის მიმართ.

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა განახორციელა კვლევა იმის თაობაზე, თუ რა ვითარება და რა პრობლემებია ამ მხრივ საქართველოში. პარალელურად, ანალოგიური მეთოდოლოგიით კვლევა ჩატარდა რუმინეთისა და მოლდოვის პარლამენტებში. ასეთი პარალელური კვლევები დაგვეხმარება, უკეთ დავინახოთ ყოველი კონკრეტული ქვეყნის პრობლემები, გავაქტიუროთ საზოგადოებრივი დისკუსია ამ მიმართულებით, ახალი დემოკრატიის სამმა ქვეყანამ უფრო ეფექტურად შეძლოს გამოცდილების გაზიარება.

ძირითადი მიგნებები

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა – მათ შორის პარლამენტის წევრები როგორც უმრავლესობიდან, ისე ოპოზიციიდან – თანხმდება, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ პროფესიული ეთიკის წესების დარღვევა სისტემურ ხასიათს ატარებს. ეს ტენდენცია სხვადასხვა მოწვევის პარლამენტებში ნარჩუნდება.

განსაკუთრებით ტიპიურია დეპუტატების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება თავისი მოვალეობების მიმართ, რაც როგორც პლენარული სესიების, ისე საკომიტეტო მოსმენების ხშირ გაცდენაში გამოიხატება. ამ გაცდენების საკომპენსაციოდ, გავრცელებულია სხვა დეპუტატების საიდენტიფიკაციო ბარათების გამოყენება როგორც „ცრუ ქვორუმის“ შესაქმნელად, ისე ხმის მიცემაში მონაწილეობის მისაღებად.

მეორე გავრცელებული და შემამოფოთებელი ტენდენციაა პარლამენტარების არაეთიკური ქცევა ერთმანეთის მიმართ, რაც ხშირ პიროვნულ შეურაცხყოფაში და, დორდადრო, ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გამოიხატება. ეს უკანასკნელი ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა ბოლო მოწვევის პარლამენტში.

ფინანსური ანგარიშგების და ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა სამართლებრივ დონეზე შედარებით მოწესრიგებულია, თუმცა მომავალში სასურველია სამართლებრივი ნორმების და და მათი დაცვის მექანიზმების დახვეწა, რათა უზრუნველყოფილი იყოს კანონების ეფექტიანად შესრულება. კერძოდ, უახლესი წარსულიდან ცნობილია შემთხვევა, როცა ბოლო მოწვევის პარლამენტში სამი დეპუტატი აგრძელებდა მათ სტატუსთან შეუთავსებელ ბიზნეს-საქმიანობას. საკანონმდებლო ნორმების დარღვევის მსგავსი პრაქტიკა არ შეიძლება ადეკვატური რეაგირების გარეშე დარჩეს.

სხვა ტიპის ნუხილები მოიცავს ნეპოტიზმს პარლამენტის აპარატში თანამდებობებზე დანიშვნისას, პარლამენტარების არასაკმარის კავშირებს თავის ამომრჩეველთან და ზოგადად საზოგადოებასთან, პარლამენტის პასიურობას აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის სფეროში და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო ეთიკის დარღვევის შემთხვევები ხშირად ხდება მედიის და საზოგადოების განხილვის საგანი და, სავარაუდოდ, ხელს უწყობს პარლამენტის როგორც ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების დაბალ ნდობას, დეპუტატები პრიორიტეტს არ ანიჭებენ ამ პრობლემის გადაწყვეტას. ექსპერტთა უმრავლესობა უკავშირებს ამას საქართველოს პოლიტიკური სისტემის ზოგად თავისებურებას: ინდივიდუალური დეპუტატები თავის მდგომარეობას უმაღლიან

არა იმდენად ამომრჩეველს, არამედ პარტიულ ლიდერებს, ვისი წყალობითაც საარჩევნო სიებში მოხვდნენ ან ერთმანდატიან ოლქებში პარტიის კანდიდატები გახდნენ. შესაბამისად, ისინი პირველ რიგში მათ წინაშე გრძნობენ თავს ანგარიშვალდებულად.

2004 წელს საქართველოს პარლამენტის წევრებმა ხელი მოაწერეს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსს. ეს დოკუმენტი დეკლარაციული ხასიათისა იყო და არ ითვალისწინებდა რაიმე მექანიზმებს მასში ფორმულირებული ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად. როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ამ დოკუმენტს არ მოუხდენია რაიმე გავლენა პარლამენტართა ქცევაზე. დღევანდელი მონვევის პარლამენტში ბევრმა დეპუტატმა არც კი იცის მისი არსებობის შესახებ ან სავალდებულოდ არ თვლის მისი ნორმების დაცვას, რადგან, მათი აზრით, ასეთი ვალდებულება მხოლოდ უშუალოდ დოკუმენტის ხელმომწერ დეპუტატებზე ვრცელდება.

2013 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს მხარდაჭერით და ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს ორგანიზებით, დისკუსია საპარლამენტო ეთიკის საკითხებზე განახლდა. მაგრამ, მიუხედავად პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გამოხატული მხარდაჭერისა, ამ ინიციატივას რეალური შედეგი არ გამოუღია.

ექსპერტების უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს, პარლამენტმა განაახლოს მუშაობა საპარლამენტო ეთიკის საკითხებზე, ოღონდ მხოლოდ დეკლარაციებით აღარ შემოიფარგლოს. საჭიროა პარლამენტში შეიქმნას კონკრეტული მექანიზმი (მაგალითად, ეთიკის ოფისი), რომელიც მონიტორინგს გაუწევს შესაბამის სფეროს, შეისწავლის კონკრეტულ გადაცდომებს და მათზე ადექვატურ რეაგირებას მოახდენს.

მეორეს მხრივ, საჭიროა ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები, რათა ამომრჩეველი უფრო კარგად გაერკვეს პარლამენტის და მისი დეპუტატების ფუნქციებსა და მოვალეობებში და უფრო აქტიურად მოსთხოვოს თავის წარმომადგენლებს ამ ფუნქციების კეთილსინდისიერი შესრულება.

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილ ანგარიშზე მუშაობისას შესწავლილი იყო პარლამენტარების საქმიანობის წესების მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, ამასთან დაკავშირებული დოკუმენტები და მოქმედი რეგულაციები. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა იმ პრინციპებსა და ნორმებზე, რომლებიც არეგულირებს პარლამენტთან მოქალაქე-

ების ურთიერთობის ეთიკურ მხარეს და უზრუნველყოფს მისი საქმიანობის გამჭვირვალობას და ღიაობას.

კვლევის პროცესში ჩატარდა 15 ჩალრმავებული ინტერვიუ (10-22 ივნისი, 2014) პარლამენტის წევრებთან, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (2 რესპოდენტი საპარლამენტო უმრავლესობიდან, 3 – ოპოზიციიდან, 6 არასამთავრობო ორგანიზაციების და 4 – მედიის წარმომადგენელი).

საერთაშორისო გამოცდილება

1990 წლიდან ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის (1995 წლიდან – ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ეუთო) წევრი სახელმწიფოები, მათ შორის ახალგაზრდა პოსტ-საბჭოთა დამოუკიდებელი ქვეყნები, ორგანიზაციის ადამიანური განზომილების ფარგლებში აქტიურად იწყებენ მსჯელობას წევრ ქვეყნებში დემოკრატიის გაძლიერებისთვის აუცილებელი პრინციპებისა და სამართლებრივი ნორმების დამკვიდრებაზე.

წევრი ქვეყნებისადმი ეუთოს, როგორც ორგანიზაციის, ერთ-ერთი ძირითადი გზავნილია, რომ **დემოკრატია, როგორც წარმომადგენლობითობისა და პლურალიზმის პრინციპებზე დამყარებული პოლიტიკური სისტემა, საჭიროებს სახელისუფლებო ორგანოების ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულებას, საჯარო ხელმძღვანელობის მიერ კანონისა და სამართლის ნორმების მიუკერძოებელ აღსრულებას.** ეს, თავის მხრივ, საჯარო სამსახურში მომუშავე პირებისგან გარკვეული პროფესიული და ეთიკური სტანდარტების აღიარებას მოითხოვს, რაც თანაბრად ეხება როგორც ჩამოყალიბებულ, ისე ახალ და გარდამავალ დემოკრატიებს¹.

2006 წლის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ბრიუსელის დეკლარაციის თანახმად, ეროვნული წარმომადგენლობითი ორგანოს შიგნით კარგი მმართველობის პრინციპების დასამკვიდრებლად საჭიროა წევრ ქვეყნებში შემდეგი ზომების განხორციელება:

- 1) პარლამენტარებისა და მათი თანამშრომლების ქცევის სტანდარტების და ეთიკის ნორმების ჩამოყალიბება და მიღება;
- 2) ეფექტიანი მექანიზმების შემოღება პარლამენტარებისა და მათი თანამშრომლების შესახებ ფინანსური ინფორმაციის და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების საჯაროდ გამოსაქვეყნებლად;

¹ Background Study: Professional and Ethical Standards for Parliamentarians, OSCE-ODIHR, Warsaw, 2012.

- 3) საჯარო სტანდარტების ოფისების შექმნა, რომელებიც პარლამენტარებისა და მათი თანამშრომლების მიერ ქცევის სტანდარტების დარღვევის შემთხვევებს განიხილავს.

ამავე პერიოდში შეიქმნა კორუფციის წინააღმდეგ პარლამენტარების გლობალური ორგანიზაცია. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს პარლამენტარებს ეფექტიანი ეთიკური ნორმების და საქმიანობის სტანდარტების ჩამოყალიბებაში. ეს ნორმები საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, მაგრამ, ამასთანავე, თითოეული ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი გაითვალისწინოს. ამ ორგანიზაციის დაკვეთით 2006 წელს შეიქმნა სახელმძღვანელო პარლამენტარების ეთიკისა და საქმიანობის წესის შესახებ².

ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები გამოყოფენ ოთხ ძირითადად მიზეზს, რის გამოც მნიშვნელოვანია პარლამენტის წევრების პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დახვეწა:

- 1) კორუფციასთან ბრძოლა – თავიდან უნდა იქნას აცილებული პარლამენტარის სტატუსის ბოროტად გამოყენება და უფლებამოსილების გადამეტება ისე, რომ ხელი არ შეემალოს მის მიერ წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელებას.
- 2) ანგარიშვალდებულების ამალღება – საზოგადოებას და მედიას სრულყოფილი საშუალება უნდა ჰქონდეთ პარლამენტართა საქმიანობის შესაფასებლად. პარლამენტართა მიერ ეთიკური და პროფესიული ნორმების დაცვა აამალღებს ნდობას მათ მიმართ.
- 3) პოლიტიკის პროფესიონალიზაცია – სხვადასხვა სფეროდან მოსულ პარლამენტარებს სჭირდებათ საქმიანობის ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბება, რაც მათ შორის კოლეგიალურობის გრძნობას გააძლიერებს.
- 4) საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება – საერთაშორისო სტანდარტების და ნორმების გაზიარება გაადვილებს საერთაშორისო ასოციაციებში გასაერთიანებლად პირობების შესრულებას და საერთაშორისო დახმარების მოზიდვას.

ამ თემების მიმართ საერთაშორისო ყურადღების ზრდის ფონზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პარლამენტი ცდილობს ეთიკური და პროფესიული სტანდარტების მკაფიოდ დადგენას და დაცვას. ზოგ ქვეყანაში (მაგალითად, გერმანიაში და ლატვიაში) მსგავსი ვალდებულება საკანონმდებლო დონეზეა აყვანილი. ზოგან (მაგ., დიდ ბრიტანეთში) შესაბამისი დოკუმენტი დეკლარაციული ხასიათისაა და შესრულების ფორმა-

² საპარლამენტო ეთიკისა და ქცევის სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, გრეგ ფაუერი, საპარლამენტო ეთიკის გლობალური საშუალო ჯგუფის დაკვეთით, 2006

ლურ ვალდებულებას არ გულისხმობს. ბევრი ქვეყანა საბოლოოდ უარს ამბობს ქცევის კოდექსის მიღებაზე, მაგრამ თუნდაც ამგვარი ნორმატიული დოკუმენტების პროექტების ინიცირება ხელს უწყობს პარლამენტარების პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებზე საზოგადოებრივი დისკუსიის გაღრმავებას და ამ საკითხებზე საზოგადოებრივი კონსენსუსის ჩამოყალიბებას.

საქართველოში პირველი ნაბიჯები პარლამენტარის ეთიკური ქცევის კოდექსის ჩამოსაყალიბებლად ქვეყნის კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მიზნით მისი ევროსაბჭოში გაერთიანების შემდეგ, 1999 წლიდან გადაიდგა. 2004 წელს გაჩნდა ინიციატივა პირველი ეთიკის კოდექსის მიღების შესახებ (ასევე ეუთოს მხარდაჭერით). მომდევნო თავებში განვიხილავთ პარლამენტართა ეთიკური ქცევის მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმებს და ყოველდღიურ საქმიანობაში მათი დამკვიდრების პრაქტიკას.

პარლამენტის მანდატსა და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და წარმომადგენლობითობის სხვა მარეგულირებელი ნორმები

კანონმდებლობა

ეროვნული პარლამენტის, როგორც ქვეყნის უმაღლესი არჩევითი ორგანოს უმთავრესი ფუნქციაა, წარმოადგინოს მოქალაქეთა ინტერესები, განახორციელოს საკანონმდებლო საქმიანობა, განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და გააკონტროლოს ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა. 2013 წელს ძალაში შევიდა საკონსტიტუციო ცვლილებები, რითაც ამაღლდა პარლამენტის როლი საპრეზიდენტო შტოსთან შედარებით. კერძოდ, პარლამენტი პრეზიდენტის მონაწილეობის გარეშე აყალიბებს მინისტრთა კაბინეტს, ხოლო პრეზიდენტს კიდევ უფრო შეეზღუდა მისი დათხოვნის უფლებამოსილება.

კონსტიტუცია და პარლამენტის რეგლამენტი მკაფიოდ განსაზღვრავს პარლამენტარის უფლებამოსილებას და ვალდებულებებს. კერძოდ,

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრი უფლებამოსილია:

- 1) სათათბირო ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში და მათ წინაშე დასვას საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების დარღვევის საკითხები;

- 2) კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, მიიღოს და შეაფასოს პასუხები;
- 3) შეკითხვით მიმართოს ანგარიშვალდებულ ორგანოს და პასუხი მიიღოს პლენარულ სხდომაზე. შეკითხვებზე პასუხისთვის განკუთვნილია სამთავრობო საათი ყოველი თვის ბოლო პარასკევს. თანამდებობის პირს უფლება აქვს შეკითხვას პასუხი არ გასცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს.
- 4) შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საქართველოს კანონები-სა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულების შემონგების საკითხი.
- 5) შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო ორგანიზაციაში და შეხვდეს მისი თანამდებობის პირებს, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა;
- 6) უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში.
- 7) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების დარღვევების გამოვლენილ ფაქტებზე შეიმუშავოს და აღმასრულებელ ხელისუფლებას გაუგზავნოს შესაბამისი რეკომენდაციები.

პარლამენტარები სარგებლობენ გარკვეული პრივილეგიებით, რისი მიზანიცაა, სრულფასოვანი პირობები ჰქონდეთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის წევრის განწევვა. ასევე არ შეიძლება მისი დაკავება და დაპატიმრება, მისი საკუთრების, სამუშაო ადგილის ან პირადი ნივთების გაჩხრეკა პარლამენტის თანხმობის გარეშე (გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა).

ამავდროულად, კონსტიტუციის 53-ე მუხლი ზღუდავს პარლამენტის წევრის უფლებებს. კერძოდ, მას არ შეუძლია ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, დაკარგოს საქართველოს მოქალაქეობა ან არასასპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდეს პარლამენტის მუშაობაში. ის არ შეიძლება იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეკავოს თანამდებობა სხვა სახელმწიფო ორგანოში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში.

პარლამენტის წევრი შეიძლება ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას, თუმცა მას არა აქვს უფლება, უშუალოდ მიიღოს მონაწილე-

ობა სამეწარმეო საქმიანობაში, მათ შორის, იყოს ბიზნეს-სუბიექტის სამეთვალყურეო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრი, ან განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა ფინანსური მოგების მიზნით.

პარლამენტის წევრის სტატუსთან თავსებადია სამეცნიერო, პედაგოგიური, სახელოვნებო საქმიანობა, თუ ის არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას. ასევე, ის შეიძლება ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას და ეკავოს რაიმე თანამდებობა პარტიულ ორგანიზაციაში.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრი ვალდებულია: „დაიცვას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის დადგენილი ქცევის სტანდარტები“³. ახალარჩეული პარლამენტის წევრი ვალდებულია, უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან შეწყვიტოს მის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობა და 7 დღის ვადაში პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს წარუდგინოს ამის დამადასტურებელი საბუთი.

მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება. მისი უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი, რომელიც ამზადებს შესაბამის დასკვნას და წარუდგენს პარლამენტის ბიუროს განსახილველად, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს. აღნიშნულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი ავალდებს პარლამენტის წევრს, საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

დეკლარაციების შევსებისას პარლამენტის წევრი მიუთითებს საკუთარ, ოჯახის წევრების და ახლო ნათესავების ქონებას. ყველა საბანკო ვალდებულებას, მენარმე სუბიექტების მფლობელობას და ა.შ.

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს ავალდებულებს, უზრუნველყოს დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის დაუბრკოლებელი ხელმისაწვდომობა; თანამდებობის პირის მიერ შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღება და შენახვა; იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის შედგენა, ვისთვისაც დეკლარაციების შევსება სავალ-

³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 14 , პუქტი 2 , ქვეპუნქტი „ი“

დებულოა და ა.შ. თუმცა, კანონი ბიუროს არ ავალდებულებს, შეამომოს წარმოდგენილი მონაცემების სისწორე⁴. ფაქტობრივად, მათი გადამოწმება მედიის და არსამთავრობო სექტორის ინიციატივაზე დამოკიდებული.

ეკონომიკური ინტერესების გაცხადების სფეროში მნიშვნელოვანია, ეფექტიანად მოქმედებდეს კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“. მის თანახმად, პარლამენტის წევრს, სხვა საჯარო მოსამსახურეს, რომელიც წერილობით განაცხადებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში პირადი ინტერესის შესახებ, უფლება აქვს თავი შეიკავოს შესაბამისი ნორმატიული აქტის განხილვაში მონაწილეობისაგან. აქ ხაზი უნდა გაესვას, რომ პარლამენტის წევრს ამგვარი უფლება აქვს და არა ვალდებულება, ხოლო ინტერესთა გაცხადება ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტში კონკრეტული თემა იხილება რეგისტრირებული ლობისტის მონაწილეობით.

საქართველოს პარლამენტში გამართული დებატები პირდაპირი ეთერით გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხით. ეს ზრდის მოქალაქეთა ინფორმირებულობას პარლამენტის საქმიანობაზე.

ზოგადი ფონი: წარმომადგენლობითობა და ანგარიშვალდებულება საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში

საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია. ის შედგება 150 დეპუტატისგან, რომელიც 4 წლის ვადით აირჩევა. საარჩევნო სისტემა შერეულია: 77 დეპუტატი აირჩევა ერთმანდატიანი ოლქებიდან მაჟორიტარული სისტემით, 73 კი – პროპორციული წესით პარტიული სიებიდან. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

ბოლო ორი ათეული წლის პროცესები მოწმობს, რომ პოლიტიკური წარმომადგენლობის, ასევე პოლიტიკური კონკურენციის წესები და ნორმები საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ისინი მუდმივი დებატების და ბრძოლის საგანია და ხშირად იცვლება, თუმცა საარჩევნო სისტემის შერეული (პროპორციული და მაჟორიტარული) ხასიათი

4

საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების თანახმად, ბიურო არ აგებს პასუხს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონაცემთა სისრულესა და ნამდვილობაზე. საეჭვოობის შემთხვევაში ბიურო მიმართავს შესაბამის დაწესებულებებს. სსკ-ის 355-ე მუხლით, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ, ან დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორას საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

უცვლელი რჩება. არსებობს პოლიტიკური სისტემის რამდენიმე სტრუქტურული ნაკლი, რომელიც ნარჩუნდება ხელისუფლებათა ცვლის მიუხედავად.

პირველ რიგში, ეს პოლიტიკური პარტიების სისტემის სუსტი ინსტიტუციონალიზაციაა. პარტიები, როგორც წესი, კონკრეტული ძლიერი ლიდერების გარშემო იქმნება, მათი იდენტობა უკავშირდება ამ ლიდერის პიროვნებას და არა საპროგრამო პრიოტიტეტებსა და ქვეყნის განვითარების ხედვას, ხოლო ლიდერის ნასვლასთან ერთად პარტიაც იშლება. იშვიათი გამონაკლისის გარდა, პარტიებში მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს შიდა დემოკრატიის მექანიზმებს. პარტიებს იშვიათად ჰყავთ მყარი ამომრჩეველი, ხოლო პოლიტიკური ლანდშაფტი არასტაბილურია და შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს არჩევნებს შორის. ერთი პოპულარული ლიდერის გამოჩენით შეიძლება სრულიად ახალი ვითარება მივიღოთ: ბოლოს ეს მოხდა 2011 წელს, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე მოულოდნელად გამოჩნდა მდიდარი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი.

ტიპოლოგიურად, საქართველოს პოლიტიკური პარტიები შეიძლება სამ ძირითად სახედ დაიყოს: (1) სახელისუფლებო პარტია, რომელიც, როგორც წესი, შეზრდილია ადმინისტრაციულ რესურსებთან; (2) ფართო საპროტესტო მოძრაობა, რომელშიც სხვადასხვა ადამიანები და ორგანიზაციები მხოლოდ ნეგატიური ნიშნით, არსებული ხელისუფლების შეცვლის მოტივით ერთიანდებიან; (3) მცირე პარტიები, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მოახდინონ გავლენა პოლიტიკურ პროცესზე და მუდმივად იცვლიან მოკლევადიან კოალიციებს, რომელთა შექმნა, როგორც წესი, არანაირად არ უკავშირდება მათ გამოცხადებულ საპროგრამო პრინციპებს.

ამ პირობებში პარტიები სუსტად ასრულებენ მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის ასპარეზის და სოციალურ ინტერესთა შეკრების, არტიკულირების და წარმოდგენის ფუნქციებს. პოლიტიკურ პარტიათა წევრობის მაჩვენებელი მეტად დაბალია, უმრავლესობა საკუთარ ინტერესთა დაცვის ზოგად დელეგირებას ახდენს მოცემულ მომენტში პოპულარულ პოლიტიკურ ძალაზე და მის ლიდერზე. შემდგომ, გარდუვალ განზილებას მოყვება პოლიტიკური აპათია ან ახალი ძლიერი ლიდერის მოლოდინი.

პოლიტიკური ელიტის მიმართ ნდობის დეფიციტს ხელს უწყობს პოლიტიკოსების მიერ პარტიების, ხოლო პარტიების მიერ კოალიციური პარტნიორობის ხშირი შეცვლა. საკმაოდ ბევრი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა ახალი მონვევის პარლამენტში, როდესაც ნაციონალური მოძრაობიდან არჩეულმა დეპუტატთა ნაწილმა დატოვა ფრაქცია: ფორმალურად მათი უმრავლესობა დამოუკიდებელი დეპუტატია, თუმცა ხმას, როგორც წესი, უმრავლესობის სასარგებლოდ აძლევენ. 2012 წლის ხელი-

სუფლების ცვლილების შემდეგ ანალოგიური „გადასვლები“ კიდევ უფრო დიდი მასშტაბით მოხდა მუნიციპალური ხელისუფლების დონეზე. ყოველივე ეს მოქალაქეებში ამკვიდრებს აზრს, რომ პოლიტიკოსები მხოლოდ პიროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობენ, პარტიული კუთვნილება კი მათთვის შემთხვევითია.

სისტემის მეორე და უმთავრესი სტრუქტურული ნაკლია ის, რასაც „დომინანტური ძალის“ სინდრომი შეიძლება დავარქვათ: ხელისუფლების ყოველ შეცვლას მივყავართ ერთი პოლიტიკური ძალის (პარტიის თუ კოალიციის) ხელში ძალაუფლების ყველა ბერკეტის კონცენტრაციისკენ, რაც ნაკლებად უტოვებს ოპოზიციას გადანყვეტილების მიღებაზე გავლენის ბერკეტებს. ეს არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც მკვლევართა უმრავლესობა საქართველოს პოლიტიკურ სისტემას განსაზღვრავს როგორც „ჰიბრიდულს“, რომელშიც ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი რალაც ზომით მუშაობს, მაგრამ მართვის პრაქტიკა ავტორიტარიზმის აშკარა ნიშნებს ავლენს.

ასეთ პირობებში პარლამენტის თითოეული დეპუტატი ნაკლებად გრძნობს თავს ანგარიშვალდებულად ამომრჩევლის წინაშე: როგორც წესი, დეპუტატის სტატუსს ის უნდა უმაღლოდეს არა საკუთარ დამსახურებას და პოპულარობას, არამედ იმას, რომ მოცემულ მომენტში პარტიის და მისი ლიდერის მხარდაჭერით სარგებლობს. ეს განსაკუთრებით აშკარაა პარტიული სივრთით არჩეული დეპუტატების შემთხვევაში, რადგან სივრთი ლიდერის ან ლიდერების ნებით დგება. ჰიპოთეტურად, კონკრეტულ ამომრჩეველზე ანგარიშვალდებულებას მეტად უნდა გრძნობდნენ მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებიც კონკრეტული მუნიციპალიტეტის ინტერესებს იცავენ. რალაც ზომით ეს ასეცაა, თუმცა, როგორც არსებული პრაქტიკა მონიშნავს, 2008 და 2012 წელს არჩეული მაჟორიტარი კანდიდატების დიდი ნაწილი ნაკლებად ურთიერთობს საკუთარ რეგიონში მცხოვრებ ამომრჩეველთან, იშიათად ჩნდება ადგილობრივ მედია საშუალებებში. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატების დასახელება პარტიის ლიდერების გადანყვეტილებაა, მათი წარმატება კი ძირითადად პარტიული ინფრასტრუქტურის (სახელისუფლებო პარტიის კანდიდატის შემთხვევაში კი – არსებული ადმინისტრაციული რესურსების) მხარდაჭერაზეა დამოკიდებული.

მეორეს მხრივ, საზოგადოებასაც ნაკლები მოლოდინები აქვს საკუთარი წარმომადგენლების მიმართ. 2013 წ. ნოემბერში აშშ ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კვლევის თანახმად გამოკითხულთა 45%-მა არ იცის, ვინ არის მისი მაჟორიტარი კანდიდატი და მხოლოდ გამოკითხულთა 40% გამოთქვამს რწმენას, რომ ის პარლამენტში სწორედ მის და არა პარტიის ან პირად ინტერესებს გამოხატავს.

ამავე დროს, ბოლო პერიოდში გარკვეული დადებითი ტენდენციაც აღინიშნა. 2012 წელს ხელისუფლება პირველად შეიცვალა საპარლამენტო არჩევნების შედეგად (მანამდე ეს ორჯერ მოხდა არაკონსტიტუციური გზით). გარდა თავად ამ პრეცედენტის პოზიტიური მნიშვნელობისა, მისი შედეგია შედარებით უფრო დაბალანსებული პოლიტიკური სისტემა. კერძოდ, ყოფილმა მმართველმა პარტიამ, ნაციონალურმა მოძრაობამ, მიიღო ხმათა 40.4%, ხოლო გამარჯვებულმა კოალიციამ „ქართული ოცნება“ ხმათა 54.9%, რამაც მას მთავრობის ფორმირების საშუალება მისცა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო დეპუტაციის ნაწილი გამარჯვებულის მხარეს გადავიდა, ოპოზიციამ მაინც შეძლო ძლიერი ფრაქციის შენარჩუნება. ეს პირველი შემთხვევაა 1995 წლის შემდეგ, როდესაც გამარჯვებული პოლიტიკური ძალა ვერ აკონტროლებს საკონსტიტუციო უმრავლესობას (2013 წელს ძალაში შესული საკონსტიტუციო შესწორებით, საკონსტიტუციო უმრავლესობას პარლამენტის დეპუტატთა სამი მეოთხედი შეადგენს და არა ორი მესამედი, როგორც მანამდე იყო). ეს ასევე პირველი შემთხვევაა საქართველოს ისტორიაში, როცა ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ პოლიტიკური პარტია ასპარეზზე დარჩა. ეს მას საშუალებას აძლევს, გარკვეული გავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე.

თუმცა, მთლიანობაში პოლიტიკური ლანდშაფტი მაინც ინარჩუნებს „დომინანტური ძალის სისტემის“ ნიშნებს. ეს დაადასტურა, კერძოდ, 2014 წლის ივნისის ადგილობრივმა არჩევნებმა, როდესაც ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში მმართველმა კოალიციამ გაიმარჯვა. არსებულ პირობებში, ძირითადი ოპოზიციური ძალის, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიღებული ხმების დაახლოებით 22% მის წარმატებად ჩაითვა, თუმცა, ამ არჩევნებში მაჟორიტარული სისტემის უპირატესობის გამო, ის ადგილობრივ საკრებულოებში დეპუტატების მხოლოდ 6 პროცენტით იქნება წარმოდგენილი.

ქართული პოლიტიკური სისტემის ტრადიციულ ნაკლად ითვლება აგრეთვე ქალების წარმომადგენლობის დაბალი დონე. 2012 წ. მოწვევის პარლამენტში ქალები დეპუტატთა 12.6%-ს შეადგენენ, რაც რამდენამდე აღემატება წინა პარლამენტის 8%-ს (ანუ სულ 9 დეპუტატს). ბოლო საპარლამენტო არჩევნებში პარტიული სიით რეგისტრირებული 2,312 კანდიდატს შორის მხოლოდ 726 ქალი (სულ 31%) მონაწილეობდა, ხოლო მაჟორიტარული წესით არჩევნებში მონაწილე 436 კანდიდატს შორის 68 ქალი (16%) იყო⁵. ამგვარი ზრდის მიუხედავად, საქარ-

⁵ NDI Long-term election observation 2012 Parliamentary elections in Georgia, Second Interim Report, August 28 – September 12, 2012

თველო 2013 წლისათვის საერთაშორისო რეიტინგებით 134–ე ადგილიდან მხოლოდ 105 ადგილზე გადავიდა.⁶

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ასამაღლებლად პარლამენტმა 2011 წლის 28 დეკემბერს საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო. პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 30–ე მუხლი, პარ. 71 მიუთითებს, რომ პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც სახელმწიფო დაფინანსება ეკუთვნის, დამატებით ფინანსებს მიიღებს, თუ მისი საარჩევნო სიის სულ მცირე 20%-ს ქალები შეადგენენ. მაგრამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ძირითადად პოლიტიკურმა ძალებმა ეს მოთხოვნა მაინც ვერ შეასრულეს.⁷

აღსანიშნავია, რომ ქართული საზოგადოება ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის ამაღლებას პრიორიტეტულ საკითხად არ მიიჩნევს. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (აშშ) მხარდაჭერით 2013 წ. ნოემბერში ჩატარებული გამოკითხვების შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დონეს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს.

პარტიის და პარლამენტარის ანგარიშვალდებულების მექანიზმები

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრი არის საპარლამენტო საქმიანობის ძირითადი სუბიექტი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს: ა) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, კომიტეტში ან მის სამუშაო ჯგუფში, ფრაქციაში, უმრავლესობაში, უმცირესობაში, საგამოძიებო ან სხვა დროებით კომისიაში, ინტერფრაქციულ ჯგუფში საქმიანობით; ბ) ამომრჩევლებთან შეხვედრებით, მათი მიღებით, მათ მიერ დასმულ საკითხებზე რეაგირებით; გ) სახელმწიფო და სხვა ორგანოებთან ურთიერთობით.

კანონმდებლობა მხოლოდ მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატებს უწესებს ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშვალდებულების კონკრეტულ მექანიზმებს. კერძოდ, ისინი ვალდებული არიან რეგლამენტით დადგენილი პერიოდულობით შეხვედნენ ამომრჩევლებს, გაეცნონ მათ განცხადებებსა და საჩივრებს.

პარლამენტის წევრთა ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის პლენარული სხდომების კვირის მომდევნო კვირის სამუშაოთი, ოთხშაბათი და ხუთშაბათია განკუთვნილი. ამ შეხვედრებზე წამოჭრილი საკითხები შეიძლება დადგეს შესაბამისი კომიტეტის წინაშე, ხოლო კომიტეტი რეაგირების შესახებ ინფორმაციას პარლამენტის თავმჯდომარეს აწვდის. პარლამენტის წევრი ანგარიშს ამომრჩეველს ინდივიდუალურად არ წა-

⁶ Data compiled by Inter-Parliamentary Union, <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>
⁷ ibid.

რუდგენს, მაგრამ მის მიერ კომიტეტისთვის მიწოდებული ინფორმაცია, აგრეთვე კომიტეტის მხრიდან მასზე რეაგირების ანგარიში პარლამენტის ვებ-გვერდზე თავსდება.

პარლამენტის ყველა დეპუტატი ვალდებულია, საზოგადოებას ანგარიში ჩააბაროს იმაზე, რომ ის თავის საქმიანობაში თავისუფალია ინტერესთა კონფლიქტისგან. შესაბამისი მექანიზმები განერილია პარლამენტის რეგლამენტსა და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში. ამავე დროს, პარლამენტარების წლიური შემოსავლების ფინანსური დეკლარაციები ღიაა და ადვილად ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ვებ-გვერდის საშუალებით. სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ, რომ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია პოლიტიკოსების საქმიანობაზე.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსება რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსებაზე ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, მის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

თუმცა, პრაქტიკულად პოლიტიკური პარტიების ფინანსური ხარჯების შემონება საკმაოდ გართულებულია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ამის უფლება არ აქვს. თუმცა პარტიების შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ღიაა, მათი ხარჯვა არ ექვემდებარება რაიმე რეგულაციებს და შეზღუდვებს, რაც ამცირებს ამ სფეროში გამჭვირვალობის დონეს.

როგორ უნდა მოხდეს პარლამენტის წევრთა ქცევის რეგულირება? შიდასაპარლამენტო დისკუსია

2004 წლიდან, ეუთოს ინიციატივის საპასუხოდ და არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალება – საქართველოს“ აქტიური მონაწილეობით, საქართველოს პარლამენტი იწყებს მსჯელობას პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსზე⁸. იმავე წლის 8 ივლისს დეპუტატებმა მიაღწიეს შეთანხმებას ეთიკის კოდექსის საბოლოო ტექსტზე. მათი გადაწყვეტილებით, აღნიშნული დოკუმენტი დეკლარაციული იყო და არ მოიცავდა მექანიზმებს, რაც მის შესრულებას სავალდებულოს გახდიდა. პარლამენტარები არ დაეთანხმნენ ეუთოს რეკომენდაციას, მათი ქცევის

⁸ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საქართველოს პარლამენტი, ოქტომბერი 2012 – ოქტომბერი 2013

მარეგულირებელი ნორმები პარლამენტის რეგლამენტის ნაწილი გამხდარიყო, ან შექმნილიყო ეთიკის დამოუკიდებელი ოფისი, რომელიც მონიტორინგს გაუწევდა ამ ნორმების შესრულებას. კოდექსს 235-დან 121 დეპუტატმა მოაწერა ხელი, მათ რიცხვს მოგვიანებით მიემატა 27 დეპუტატი, რომელიც ვერ დაესწრო თავდაპირველ ცერემონიას⁹.

ამგვარად, 2004 წლის მოწვევის პარლამენტმა გაიზიარა საერთაშორისოდ აღიარებული ეთიკის ნორმები და მოიყვანა ის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ კონტექსტთან შესაბამისობაში. თუმცა, მან საჭიროდ არ ჩათვალა ამ ნორმების დამკვიდრების კონკრეტული მექანიზმების შემოღება. ამავე დროს, ჩითვალა, რომ დოკუმენტი მხოლოდ მის ხელმძღვანელთა ნებას გამოხატავს, ამიტომ მისი ძალა არ ვრცელდება შემდგომი მოწვევის პარლამენტების წევრებზე. როგორც მოქმედ დეპუტატებთან ინტერვიუებიდან გამოჩნდა, ისინი ეთიკის კოდექსს 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ძალადაკარგულად თვლიან.

2004 წ. ქცევის კოდექსმა აღიარა პარლამენტარის ქცევის 6 პრინციპი: საზოგადოებრივი ინტერესების ერთგულება; პატიოსნება; ობიექტურობა და მიუკერძოებლობა; ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა წინაშე; საჯაროობა; გულწრფელობა.¹⁰

ეთიკის კოდექსის ფარგლებში პარლამენტარებმა მიიღეს შემდეგი ვალდებულებები:

1. პარლამენტის წევრები ფიცის დადებით ვალდებულებას იღებენ, იყვნენ კონსტიტუციის ერთგულნი, დაიცვან კანონი, ემსახურონ საზოგადოებრივ ინტერესებს, გააუმჯობესონ დემოკრატიული მმართველობა, გააღრმავონ საზოგადოების რწმენა პარლამენტარიზმისადმი და აამაღლონ ამ ინსტიტუტისა და მთლიანად სახელმწიფოს პოზიტიური იმიჯი, ხელი შეუწყონ ისეთი კანონების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფს დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, აგრეთვე პარლამენტის წევრთა, მათ შორის თანამდებობის პირთა, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას.
2. პარლამენტის წევრებს აკისრიათ ზოგადი ვალდებულება, იმოქმედონ ხალხის ინტერესების შესაბამისად, და აქვთ კონკრეტული მოვალეობები საკუთარი ამომრჩევლისადმი. მათ პერიოდულად უნდა გააკეთონ გულწრფელი და დეტალური ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ და ამით გამოხატონ პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე.

⁹ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საქართველოს პარლამენტი, ოქტომბერი 2012 – ოქტომბერი 2013

¹⁰ საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსი. 2004 წ.

3. პარლამენტის წევრები უნდა შეეცადონ, თავისი საქმიანობით გააუმჯობესონ პარლამენტისა და მისი სტრუქტურის მუშაობა, რისთვისაც სრულად უნდა გამოიყენონ ცოდნა და გამოცდილება.
4. პარლამენტის წევრები ყველა ვითარებაში უნდა მოიქცნენ საზოგადოების მიერ მათდამი გამოხატული ნდობისა და პარლამენტარის სტატუსის შესაბამისად. თითოეული მათგანის მოვალეობაა, დაიცვას პარლამენტის ავტორიტეტი და საზოგადოებრივი ინტერესები, არ დაუშვას თავისი კოლეგების, პარლამენტში მომუშავეთა და სხვა პირთა შეურაცხყოფა და უპატივისცემულობა მათი განსხვავებული პოზიციის ან მცდარი შეხედულების გამო. პარლამენტის წევრები არ უნდა იყენებდნენ დამამცირებელ გამოთქმებსა და უზამს სიტყვებს; უნდა იყვნენ გულისხმიერნი და კორექტულნი იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც მათ მიმართავენ.
5. საქართველოს კანონით დადგენილი პრივილეგიები არ უნდა იყოს გამოყენებული პირადი, ოჯახის წევრების ან ახლობელთა ინტერესების სასარგებლოდ. პარლამენტის წევრებმა თავის საქმიანობაში არ უნდა დაუშვან ნეპოტიზმი და ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღკვეთონ ეს უარყოფითი მოვლენა.
6. პარლამენტის წევრებმა გადაწყვეტილებათა მომზადების, განხილვისა და მიღების დროს, ასევე სხვა პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ კანონიერი, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებით.
7. პარლამენტის წევრებმა საზოგადოებას უნდა მიაწოდონ ზუსტი ინფორმაცია თავისი და ოჯახის წევრების მატერიალური მდგომარეობისა და ფინანსური ინტერესების შესახებ. მათ დროულად უნდა განაცხადონ საკუთარი ინტერესების თაობაზე, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი შესაძლო კონფლიქტი პირად, მათ შორის ფინანსურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის, ხოლო კონფლიქტის შემთხვევაში იგი საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტონ, ან უარი უნდა თქვან აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე.
8. პარლამენტის წევრებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.
9. პარლამენტის წევრებმა კრიტიკის მიმართ ტოლერანტული და კორექტული დამოკიდებულება უნდა გამოავლინონ.
10. პარლამენტის წევრები ყველას მიმართ უნდა იყვნენ სამართლიანნი, უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად კონსტიტუციის, კანონების,

პროცედურული წესებისა და ეთიკის კოდექსის საფუძველზე და დაიცვან კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპი.

11. პარლამენტის წევრები პატივისცემით უნდა მოეპყრონ საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნულ–ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილისა.
12. პარლამენტის წევრები საპარლამენტო საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი გარეგნული იერით, ქცევითა და საჯარო გამოსვლებით უნდა შეესაბამებოდნენ საზოგადოებრივი ეთიკის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს.

ახალი მოწვევის საქართველოს პარლამენტში განახლდა დისკუსია ეთიკური ქცევის კოდექსის შესახებ. 2013 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში (19 აპრილს და 15 ივლისს) ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს მხარდაჭერით და არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ორგანიზებით, საპარლამენტო ეთიკის საკითხებზე რამდენიმე სემინარი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის წევრებმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა. პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა მხარი დაუჭირა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას პარლამენტის ეთიკის კოდექსის გაუმჯობესებისა და მისი ნორმების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით¹¹. მისთვის ყველაზე მისაღები იქნებოდა, რომ დეპუტატთა პროფესიული და ეთიკური სტანდარტების ნორმები პარლამენტის რეგლამენტში მოექცეულიყო. ამასთან „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, ეთიკის კოდექსს სავალდებულო ძალა მიენიჭოს, ხოლო, მეორე მხრივ, დავტოვოთ შესაძლებლობა იმისა, რომ თუკი პიროვნებას ამა თუ იმ ქცევის წესთან გარკვეული წინააღმდეგობა აქვს, ეს საჯაროდ თქვას და ამაზე პასუხიმგებლობა აიღოს,“ – განაცხადა უსუფაშვილმა. არ უნდა განმეორდეს 2004 წლის პრეცედენტი, როდესაც პარლამენტარების ხელმოწერილი ეთიკის კოდექსი მალე დავიწყებას მიეცა¹².

თუმცა სათუთა, რამდენად გამოხატავდა პარლამენტის თავმჯდომარის მოსაზრება მთლიანად პარლამენტის პოზიციას და პრიორიტე-

¹¹ <http://24saati.ge/news/story/39163-parlamentarta-etikis-kodeqsi-shesadzloa-reglamentis-natsili-gakhdes>

¹² <http://24saati.ge/news/story/39163-parlamentarta-etikis-kodeqsi-shesadzloa-reglamentis-natsili-gakhdes#sthash.bKAJTTEu.dpuf>

ტებს. იმავე წელს პარლამენტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ახალი ქცევის კოდექსის მოსამზადებლად, თუმცა ამის შემდეგ მისი არც ერთი შეხვედრა არ გამართულა.

როგორ არღვევენ ქართველი პარლამენტარები პროფესიული და ეთიკური ქცევის სტანდარტებს?

2004 წ. ეთიკის კოდექსის მიღების შემდეგ გასული 10 წლის მანძილზე მასში შესული ზოგიერთი ნორმის დაღვევას სისტემური ხასიათი ჰქონდა: იგულისხმება ხმის მიცემის პროცედურის დაუცველობა, სესიების და საკომიტეო მოსმენების არასაპატიო მიზეზით გაცდენა, არაეთიკური მიმართვა კოლეგებისადმი, ინტერესთა კონფლიქტის დაშვება და ა. შ. მსგავს ქმედებებს რეაგირება არ მოჰყოლია მიუხედავად იმისა, რომ დარღვევის არაერთი ფაქტი აღბეჭდილია საინფორმაციო სააგენტოების ვიდეომასალაში, გადაიცემოდა ტელევიზიით, ადვილად იძებნება ინტერნეტის საძიებო სისტემებით. ამგვარი ფაქტები შეკრებილი, დოკუმენტირებული და გაანალიზებულია არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში.

თავად პარლამენტარებიც როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის მხრიდან ეთანხმებიან იმ შეფასებას, რომ პარლამენტის წევრთა ქცევა ხშირად სცდება პროფესიული ეთიკის სტანდარტებს. ამ თავში ამ მხრივ ყველაზე პრობლემურ სფეროებს განვიხილავთ.

„ცრუ ევორუმი“ და სისტემური გაცდენები


პარლამენტის წევრები ხშირად იყენებენ თავისი კოლეგების საიდენტიფიკაციო ბარათებს პლენარულ სხდომაზე რეგისტრაციის გასაგულად ან ხმის მისაცემად. ასეთი პრაქტიკა წინა მოწვევის პარლამენტებსაც ახასიათებდა. ზოგადად, მას ძირითადად უმრავლესობა მისდევს, რითაც შეიძლება ნაწილობრივ ავსხნათ ის ფაქტი, რომ სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის ხელმძღვანელობას არ გამოუჩენია ამ მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის პოლიტიკური ნება. კერძოდ, 2012 წ. მოწვევის პარლამენტში ოპოზიციამ არაერთხელ მიმართა ამ საკითხზე პარლამენტის თავმჯდომარეს (მარტი–მაისი 2014 წ.) და დაასახელა კონკრეტულ დამრღვევთა ვინაობა, მაგრამ მისგან რეაგირება მხოლოდ ერთხელ მოხდა.

თუმცა, შესაძლოა, ოპოზიციის აქტიურობას რალაც შედეგი მაინც აქვს. უმრავლესობის დეპუტატის განცხადებით, დღეს მსგავსი პრაქტიკა შედარებით შეიზღუდა წინა მოწვევის პარლამენტებთან შედარებით, რადგან ოპოზიციამ უფრო აქტიურად აკონტროლებს უმრავლესობის ქცევას.

სამართლის ექპერტების ზრით, ამგვარი ქცევის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან დეპუტატებს შეუძლიათ, ხმის მიცემის უფლებამოსილება დროებით სხვას გადასცენ, თუმცა ქართველი პარლამენტარები ამ შესაძლებლობას ნაკლებად იყენებენ.

თუ ქვეყნის არამართებული მეთოდებით უზრუნველყოფას პირველ რიგში უმრავლესობა ცდილობს, პლენარული სხდომების გაცდენები უფრო მეტად ოპოზიციას ახასიათებს. ესეც ადვილი ასახსნელია: უმრავლესობის დეპუტატებს აქვთ კანონის მიღების ვალდებულება, ამისთვის კი თითოეულ ხმას აქვს მნიშვნელობა, ხოლო ოპოზიციას ასეთი პასუხისმგებლობა არა აქვს.

ამას ადასტურებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2012–2013 წლის მანძილზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები:



ზოგი დეპუტატი პრობლემას ხედავს იმაში, რომ პროცედურებში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, თუ რა ითვლება გაცდენის საპატიო მიზეზად. ამ უკანასკნელთა ჩამონათვალში შედის, მაგალითად, ავადმყოფობა ან ოჯახური მდგომარეობა, მაგრამ ამ მიზეზების გაკონტროლება შეუძლებელია. ავადმყოფობის ცნობას არავინ ითხოვს, ხოლო „ოჯახური მდგომარეობა“ ბუნდოვანი ცნებაა და საშუალებას აძლევს პარლამენტარებს, ნებისმიერი გაცდენა ამ მიზეზით ახსნან.

ამას ემატება ის, რომ რეგლამენტი არ აძლევს უფლებას პარლამენტარს, მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებაში, რომელიც მისი პირდაპირი უფლებამოსილების განხორციელებას არ უკავშირდება. თუ პარლა-

მენტის წევრმა სხვა გამართლება ვერ მოუძებნა საერთაშორისო კონფერენციებში თუ თანამშრომლობის ფორუმებში მონაწილეობას, ის გაცდენას „ოჯახურ პირობებს“ მიაწერს.

როგორც უმცირესობის წარმომადგენლები აცხადებენ, წინა მოწვევის პარლამენტში ეს პრობლემა არ დამდგარა, რადგანაც ადრე უმცირესობა სუსტად იყო წარმოდგენილი პარლამენტში და ნაკლებად იყო დაკავებული მსგავსი საქმიანობით. ამის გამო უმრავლესობას შესაბამისი ზომების გატარებაზე არც უფიქრია. პარლამენტარს არა აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ღონისძიებაში ან კონფერენციაში, თუ ეს არ გაფორმდა, როგორც პარლამენტის მივლინება, რაც გულისხმობს მისთვის ფულადი კომპენსაციის გაცემას. უმცირესობის წარმომადგენელთა აზრით, მსგავსი რეგულაციებით უმრავლესობა მთელ რიგ შემთხვევებში ბოროტად სარგებლობს, მას შეუძლია შეზღუდოს პარლამენტარისათვის მივლინების გაფორმება, რის გამოც პარლამენტარი იძულებულია ნებისმიერი გაცდენა „ოჯახური მდგომარეობით“ გაამართლოს. უმცირესობის წარმომადგენელთა აზრით, უმრავლესობა არ იჩენს პოლიტიკურ ნებას საიმისოდ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვოს¹³.

მიღებული სტანდარტების დაუცველობის ან ბუნდოვანების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე გახმაურებული შემთხვევა. უმრავლესობის ყოფილმა დეპუტატმა, კობა დავითაშვილმა, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წაგების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლაზე განაცხადა და პარლამენტის მუშაობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს, თუმცა პარლამენტარის სტატუსს და ხელფასს ინარჩუნებს. ანალოგიურად, წინა მოწვევის პარლამენტში ლეიბორისტულ პარტიას ყავდა ოთხი წარმომადგენელი, რომლებიც (პოლიტიკური მოტივის მოშველიებით) არც ერთხელ არ გამოცხადებულან პარლამენტში, მაგრამ ხელფასებს და პრემიებს ლეზულობდნენ. არც ერთ ამ შემთხვევაში არ დამდგარა დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. ამ მოწვევის პარლამენტის დეპუტატი მარიამ საჯაია (ნაციონალური მოძრაობა) მრავალი თვის მანძილზე არ დადიოდა პარლამენტში, ფორმალურად „ოჯახური მდგომარეობის“ გამო, რეალურად კი ის აშშ-ს უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებდა. საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მაშინდელმა თავჯდომარემ ირინა იმერლიშვილმა განაცხადა, რომ საჯაიას საპატიოდ ეთვლება სწავლის მიზნით საზღვარგარეთ ყოფნა, თუმცა ასეთ საპატიო მიზეზს პარლამენტის რეგლამენტი არ იცნობს.

კიდევ უფრო უარესია მდგომარეობა საკომიტეტო მოსმენების დროს. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა თქმით, საკმაოდ ხში-

¹³ ინტერვიუ პარლამენტის წევრთან უმცირესობიდან, 22 ივნისი, 2014.

რად მეტად მნიშვნელოვანი საკითხების საკომიტეტო განხილვებს დეპუტატთა დიდი ნაწილი (როგორც უმრავლესობიდან, ასე ოპოზიციიდან), არ ესწრება; ხანდახან დამსწრე დეპუტატი მხოლოდ ერთია – კომიტეტის თავჯდომარე. საბოლოო ეტაპზე დეპუტატები, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ განხილვაში, მოდიან და ფორმალურად მხარს უჭერენ კანონპროექტს.

მაგალითად, როდესაც ექსპერტებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი შენიშვნები და რეკომენდაციები პოლიციის შესახებ კანონპროექტის მიმართ, მათ მხოლოდ ერთი დეპუტატის, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, შალვა შავგულიძის დარწმუნება მოუხდათ, რადგან მის გარდა კომიტეტის სხდომას არავინ ესწრებოდა. იგივე შალვა შავგულიძე იყო ერთადერთი დეპუტატი, ვინც 2014 წ. მაისის თვეში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებზე გამართულ საკომიტეტო მოსმენებს ესწრებოდა.

ასეთ შემთხვევებში პარლამენტის წარმომადგენლები თავს იმართლებენ იმის თქმით, რომ საკომიტეტო მოსმენებზე ქვორუმი საჭიროა მხოლოდ სხდომის გახსნის და გადაწყვეტილების მიღების მომენტში, შუალედში კი კომიტეტის თუნდაც ერთი წევრის დასწრებაც საკმარისია.

რეგლამენტის დარღვევის კიდევ ერთი გავრცელებული სახეობაა ვითარება, როდესაც წამყვანი საპარლამენტო კომიტეტი კანონპროექტს ისე განიხილავს, რომ არა აქვს დასკვნები სხვა კომიტეტებისგან, რომლის აზრის გათვალისწინება მისთვის სავალდებულოა.

პარლამენტართა არაცივილური ქცევა

განსაკუთრებულ საზოგადოებრივ რეზონანსს და შეშფოთებას იწვევს პარლამენტართა მიერ ერთმანეთის ხშირი სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც არცთუ იშვიათად ფიზიკურ დაპირისპირებაში გადადის.¹⁴ ასეთ ინციდენტებზე არც ერთხელ არ მომხდარა რეაგირება: პარლამენტის მანდატურები იმით შემოიფარგლებიან, რომ მოჩხუბარი დეპუტატები გააშველონ. ზოგი პოლიტიკოსი ან მოქალაქე შემწყნარებლურად უყურებს ამგვარ ინციდენტებს, რადგან „ასეთი რამ ყველგან ხდება“, თუმცა აშკარაა, რომ საქართველოს პარლამენტში არაცივილური ქცევის შემთხვე-

¹⁴ Georgian Public Broadcaster, 1st Channel Published on Feb 19, 2014: <https://www.youtube.com/watch?v=td8S5TdOehM> ; Georgian Public Broadcaster, 2nd Channel, Published on Nov 15, 2013 <https://www.youtube.com/watch?v=ueLm54ail2o> ; Kavkasia TV, Published on Apr 4, 2014, <https://www.youtube.com/watch?v=RpJ4yq9urQ> ; TV9, Published on Dec 7, 2012, <https://www.youtube.com/watch?v=ml1zgO2F4i8>; Maestro TV Published on Apr 24, 2012, <https://www.youtube.com/watch?v=BXazU5qfGs0>

ვები გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე განვითარებული დემოკრატიების საკანონმდებლო ორგანოებში.

დღევანდელ პარლამენტში ისინი განსაკუთრებით ხშირია. არსებობენ დეპუტატები, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან არაცივილური ქცევით. მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა ყველა რესპოდენტმა აღნიშნა უმრავლესობის დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის მიუღებელი ქცევა, რითაც მან უარყოფითად დაამახსოვრა თავი საზოგადოებას. ოპოციზიიდან, ასეთ ინციდენტებში ხშირად მონაწილეობს ვეტერანი პარლამენტარი აკაკი ბობოხიძე.

როგორც წესი, მსგავსი ინციდენტები უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენელ დეპუტატებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების ნიადაგზე ხდება. მაგრამ ხანდახან პიროვნულ შეურაცხყოფას სხვა მოტივებიც ემატება. მაგალითად, წინა მონვევის პარლამენტში, 2012 წ. 24 აპრილს დეპუტატმა ჯონდი ბალათურიამ ქსენოფობური დამოკიდებულება გამოავლინა ეთნიკურად აზერბაიჯანელი კოლეგის მიმართ. ბოლო მონვევის პარლამენტში დეპუტატმა ნუკრი ქანთარია გენდერული ნიშნით მიაყენა შეურაცხყოფა უმცირესობს წევრებს, თინა ბოკუჩავას და მარიამ საჯაიას. ყველა ამ შემთხვევას მოყვა ფართო რეაგირება მედიასა და სოციალურ ქსელებში, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა.

ფინანსური ანგარიშგება და ინტერესთა კონფლიქტები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად¹⁵, 2013 წ. ოქტომბრის მონაცემებით პარლამენტის 150 წევრიდან 43-ს ჰქონდა ბიზნეს აქტივები, მათგან 28 (67%) საპარლამენტო უმრავლესობიდან იყო, 9 – ოპოზიციიდან, 6 კი – დამოუკიდებელი პარლამენტარი. თავისთავად ეს დარღვევას არ წამოადგენს, მაგრამ პარლამენტის სამი წევრი (ზვიად კვაჭანტირაძე, გოგი თოფაძე და თამაზ ახლედანი) აგრძელებდა კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნებს¹⁶. ასევე, იყო შემთხვევები,

¹⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საქართველოს პარლამენტი, ოქტომბერი 2012 – ოქტომბერი 2013.

¹⁶ Zviad Kvachantiradze, who even today remains director of Joint Stock Company “Golden Fleece Group” and LTD “Union Credit”. Member of the Parliament Gogi Topadze until June 19th 2013 was a director of LTD “Kazbegi 2005”, and until June 18th director of LTD “Kazbegi Nakini”. In this period Topadze was already a Member of the Parliament. Similar situation can be seen in case of Tamaz Akhvlediani, who until 10 January 2013 remained director of LTD “Asko LTD”, while he became a Member of the Parliament on October 21, 2012. საქართველოს პარლამენტი, ოქტომბერი 2012 – ოქტომბერი 2013.

როდესაც ზოგიერთმა პარლამენტარმა ფინანსურ დეკლარაციაში სრულყოფილად არ ასახა თავის მფლობელობაში არსებული ბიზნეს აქტივები.

სხვა პრობლემები

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სფეროებისა, დეპუტატები გამოყოფენ პარლამენტართა ქცევის სხვა ნეგატიურ მხარეებს, რაც, მათი აზრით, არღვევს პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს და ზიანს აყენებს პარლამენტის და მთლიანად პოლიტიკური კლასის რეპუტაციას:

- 1) ნეპოტიზმი, როდესაც ხდება ნათესავეების, მეგობრების და პარტიული აქტივისტების დასაქმება ყველგან, მათ შორის პარლამენტის ფრაქციებისა და სამდივნოების თანამშრომლებად (ამ პრობლემაზე ძირითადად ოპოზიის წევრები ამახვილებენ ყურადღებას).
- 2) პოლიტიკური უპრინციპობა, როდესაც ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკოსი სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოზიციას იცავს.
- 3) პარლამენტართა არასაკმარისი ინტერესი და მზაობა, ინფორმაცია მიანოდონ მოქალაქეებს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების საკითხებზე, ასევე იმაზე, რომ აამაღლონ მოქალაქეთა ცნობიერება დემოკრატიული პრინციპების და ნორმების დამკვიდრებით.
- 4) პარლამენტი განსაკუთრებით სუსტად ასრულებს თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას – აღმასრულებელ ხელისუფლებამზე კონტროლს.


ამავე დროს, პარლამენტართა აზრით, ქართულ საზოგადოებაშიც არსებობს გარკვეული დეფიციტი პოლიტიკური განათლების და კულტურის მხრივ, რის გამოც ამომრჩეველები ვერ ახერხებენ, თავის წარმომადგენლებს პროფესიული და ეთიკური ქცევის უფრო მაღალი სტანდარტები მოთხოვონ. ბევრ მოქალაქეს სუსტი წარმოდგენა აქვს პარლამენტის ფუნქციებსა და მისი წევრების (მათ შორის ერთმანდატიან ოლქებში მათი წარმომადგენლების) უფლებამოსილებებზე. პოლიტიკური პარტიების მიმართ დაბალი ნდობა გამომწვეულია არა მხოლოდ არსებული პარტიების ხასიათით, არამედ წარმოდგენით, რომ პოლიტიკა ზოგადად „ბინძურია“ და მასში მონაწილეობა სათაკილოა.

საზოგადოების დამოკიდებულება პარლამენტარების ქცევის ეთიკურობისა და პროფესიონალიზმის მიმართ

საქართველოს პარლამენტი არც ისე მაღალი საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობს. ეს მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება პოლიციის, არმიის, ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ ნდობას (რომ არაფერი ვთქვათ რელიგიური ინსტიტუტების მეტად მაღალ პრესტიჟზე).

კერძოდ, 2013 წლის 3–26 ოქტომბერს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ ჩატარებული გამოკითხვით (სურ. 1), პარლამენტს გამოკითხულთა მხოლოდ 29% ენდობა და ნაწილობრივ ენდობა, 19% კი არ ენდობა.

სურ. 1: საქართველს მოსახლეობის ნდობის ხარისხი ქვეყანაში მოქმედი ინსტიტუტების მიმართ



ამ ზოგადი მონაცემებით ვერ ვიმსჯელებთ, თუ სახელდობრ რა ინვეს მოქალაქეთა უნდობლობას პარლამენტის მიმართ. თუმცა, ჰიპოთეტურად შეიძლება ვთქვათ, რომ დეპუტატთა მიერ მათი მოვალეობისა და პროფესიული ეთიკის ნორმების სისტემური უგულვებელყოფა, რაც ხშირად ხდება მედიის ყურადღების ცენტრში, სულ მცირე, ხელს არ უწყობს პარლამენტისადმი ნდობის ზრდას.

წარმოდგენილ ანგარიშზე მუშაობისას ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები საქოქალაქო საზოგადოების აქტივისტებთან, ვინც წლების მანძილზე აკვირდება ქართველ პარლამენტართა ქცევას. მათი შეფასებები, ცხადია, ვერ წარმოადგენს ფართო საზოგადოების აზრს, სამაგიეროდ უფრო ჩაღრმავებულ და ნიუანსირებულ სურათს იძლევა იმის თაობაზე, თუ როგორ ჩანს პარლამენტართა ქცევა გარე თვალთ.

თითქმის ყველა გამოკითხულმა რესპოდენტმა საქართველოს პარლამენტის წევრთა ქმედება მათი კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის სტანდარტების მხრივ შეაფასა, როგორც არადაამაკმაყოფილებელი.

გამოკითხულმა რესპოდენტებმა განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვეს ისეთი დარღვევების გამო, როგორცაა დეპუტატთა მიერ პლენარული და საკომიტეტო სხდომების ხშირი გაცდენები და „ცრუ ქვორუმის“ ხელოვნური შექმნა. ამას ისინი აკვალიფიცირებენ, როგორც დეპუტატების მიერ თავისი მოვალეობებისთვის თავის არიდებას და მის მიმართ არასერიოზულ დამოკიდებულებას. მათ მანკიერად მიაჩნიათ პარლამენტის და მისი ხელმძღვანელობის პოზიცია, რომლის გამოც ასეთი სისტემური პრობლემა არასოდეს გამხდარა სერიოზული რეაგირების საგანი.

მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევენ რესპოდენტები პარლამენტართა არაცივილური ქცევის, კერძოდ პირადი შეურაცხყოფის და ფიზიკური შეხლა-შემოხლის შემთხვევებს. რამდენიმე რესპოდენტის აზრით, დღეს მოქმედ პარლამენტში ისინი განსაკუთრებით განზირდა. ამას ისინი ძირითადად შექმნილი პოლიტიკურ ძალთა ბალანსით ხსნიან. მანამდე, როდესაც პარლამენტში ერთ პარტიას კონსტიტუციური უმრავლესობა ჰქონდა, მას არ უჭირდა თავისი გადაწყვეტილებების გატანა ოპოზიციის აზრის გაუთვალისწინებლად. დღეს საპარლამენტო ოპოზიცია უფრო ძლიერი, აქტიური და ორგანიზებულია, ამიტომ მისი იგნორირება უფრო ძნელია. ეს ზრდის პოლიტიკურ დაძაბულობას, რაც დროდადრო პირად შეურაცხყოფასა და ფიზიკურ დაპირისპირებაშიც გადადის.

ამ შეფასებას პარადოქსულ დასკვნამდე მივყავართ. ყველა დამკვირვებელი ერთხმად აღნიშნავს, რომ პოლიტიკურად უფრო დაბალანსებული პარლამენტი (სადაც არავის აქვს კონსტიტუციური უმრავლესობა, ხოლო ოპოზიცია უფრო ძლიერი და აქტიურია) მნიშვნელოვანი ნაბიჯია დემოკრატიული, პლურალისტური გარემოს შესაქმნელად. მაგრამ გამოდის, რომ ამის შედეგია არა უფრო პროდუქტიული დისკუსია ქვეყნისთვის საჭირობოტო პრობლემებზე და განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლობის კულტურის დამკვიდრება, არამედ ურთიერთ-შეურაცხყოფისა და ძალადობის ატმოსფეროს ჩამოყალიბება

რესპოდენტები ნაკლებს საუბრობდნენ პარლამენტართა კორუფციონზე, თუმცა ეს თემაც მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. მისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია პარლამენტის წევრობასთან შეუსაბამო ბიზნეს-საქმიანობაში ჩართული სამი დეპუტატის წინა თავეში მოყვანილი შემთხვევა. ზოგმა კორუფციის კვალიფიკაცია მისცა შემთხვევებს, როდესაც დეპუტატი ბიუჯეტის ხარჯზე მიდის მივლინებაში, რომელიც არ არის საჭირო მისი მოვალეობების განსახორციელებლად: ეს, მათი აზრით, საზოგადოებრივი რესურსების კერძო მიზნებისთვის ხარჯვაა.

კვლევის დროს გამოკითხული პარლამენტარები აღნიშნავენ, რომ ფინანსური დეკლარაციის ფორმა აკმაყოფილებს გამჭვირვალობის სტანდარტს, თუმცა ხაზს უსვამენ ამ ანგარიშში ზემოთ ნახსენებ ვითარებას, რომ ასახული მონაცემების გადამოწმების მექანიზმები სუსტია, რადგან საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ არ ავალდებულებს საჯარო სამსახურის ბიუროს შეამოწმოს წარდგენილი მონაცემების სისწორე. ეს ამცირებს ამ მექანიზმის ეფექტურობას.

ასევე, რესპოდენტი პარლამენტარების აზრით, „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ კანონი არაა სრულყოფილი და რეალობის ადეკვატური. 1998 წლიდან, როდესაც ეს კანონი მიიღეს, დღემდე საქართველოს პარლამენტში სულ რამდენიმე ლობისტის რეგისტრაცია მოხდა. ინტერესთა გამორციხვის ზოგადი წესის თანახმად (პარლამენტის რეგლამენტი), პარლამენტის წევრი ვალდებულია: „პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა“. მიუხედავად იმისა, რომ ჩანანერი მოიცავს სამეწარმეო სფეროში არსებულ ინტერესებსაც, ის ნეგატიურად მავალდებულებელი ნორმაა და ვერ ქმნის პირადი ინტერესების ფარული ლობირების აღმოფხვრის ეფექტიან მექანიზმს. შესაბამისად, კანონდებლობის ეფექტიან ამოქმედებას გარკვეული ფაქტორები აფერხებს, რაც დამატებით შესწავლას, პრობლემების ზუსტ იდენტიფიცირებას და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას საჭიროებს, რათა გამოირიცხოს ფარული ლობირების შემთხვევები.

როგორც ზემოთ ითქვა, პოლიტიკური კლასის და, კერძოდ, პარლამენტის წევრების მიმართ უნდობლობის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს ის, რომ ბევრი მათგანი ადვილად იცვლის პოზიციებს და პარტიულ კუთვნილებას, რაც მათი უპრინციპობის გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. საინტერესოა, რომ გამოკითხული ექსპერტების უმრავლესობა ამას სერიოზულ პრობლემად არ მიიჩნევს. მათი აზრით, ასეთი ნაბიჯის გადადგმა პარლამენტარის კონსტიტუციური უფლებაა და ის ამაში შეზღუდული არ უნდა იყოს, თუმცა ამომრჩეველს, შესაძლებელია, პრეტენზია ჰქონდეს მის მიმართ ეთიკური ნიშნით.

გამოკითხული ექპერტები ერთგვარ პარადოქსად მიიჩნევენ იმ ვითარებას, რომ თუმცა საზოგადოება გულდასმით აკვირდება პარლამენტში მიმდინარე პროცესებს და უარყოფითად უყურებს მოყვანილ გადაცდომებს, თავად კანონმდებლები პროფესიული ეთიკის საკითხებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ამას რესპონდენტები ნაწილობრივ უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ დეპუტატების უმრავლესობა საკუთარი იმიჯის, გამოცდილების და კვალიფიკაციის წყალობით არ არის მოხვედრილი პარლამენტში. პარტიული სიების დაკომპლექტების (შესაძლოა, აგრეთვე მაჟორიტარი კანდიდატების შერჩევის) პროცესში ამ ფაქტორებს ნაკლებად ითვალისწინებენ. პირიქით, რაკი დეპუტატი პირველ რიგში კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის მიმართ თვლის თავს დავალებულად, მან შეიძლება ჩათვალოს, რომ პოლიტიკურ მონინაალმდეგებს განსაკუთრებით მწვავედ უნდა დაუპირისპირდეს, თუნდაც ეთიკური ნორმების ხარჯზე. ზოგი რესპონდენტის აზრით, დეპუტატთა ნაწილი ოპონენტებთან ქუჩური მეთოდებით ბრძოლას საკუთარი იმიჯისთვის სასიკეთოდაც მიიჩნევს, რადგან ასე ბოროტებასთან უკომპრომიზო მებრძოლად ჩანს.

თუმცა პროფესიული ეთიკის წესების აშკარა და გახმაურებული გადაცდომები, სავარაუდოდ, რალაც ზომით არყვეს საზოგადოების ნდობას პარლამენტის მიმართ, ექსპერტები მისი დაბალი რეიტინგის სხვა შესაძლო მიზეზებზეც საუბრობენ:

- 1) საზოგადოების თვალში პარლამენტი არასაკმარისად დამოუკიდებელი ინსტიტუტია. ახალი საკონსტიტუციო მოდელით მისი მნიშვნელობა გაიზარდა, ის გადამწყვეტ როლს თამაშობს მთავრობის დაკომპლექტებაში და ქმედითი ბერკეტები აქვს მისი საქმიანობის გასაკონტროლებლად, მაგრამ ის ამ ბერკეტებს სათანადოდ არ იყენებს და მთავრობას ნაკლებად უწევს ოპონირებას. საზოგადოება პარლამენტის დეპუტატებს ნაკლებ გავლენიან პირებად მიიჩნევს კაბინეტის წევრებთან შედარებით.
- 2) პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ გამოკვეთილი პლათფორმა და ლირებულებები. ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი უფრო რომელიმე პიროვნებას თუ ძალას ებრძვიან და არა რალაც ლირებულებებს და პრინციპებს ამკვიდრებენ.
- 3) ამ ფონზე საზოგადოება ვერ ხედავს, თუ რა კონკრეტულ და მისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებს პარლამენტი. ერთ-ერთი რესპონდენტის ვარაუდით, ხალხის თვალში „დეპუტატები იმით არიან დაკავებული, რომ ერთმანეთი აკრიტიკონ და წარსული წამოაძახონ“.
- 4) პარლამენტი ხშირად არაპოპულარულ ან საზოგადოებისთვის გაუგებარ კანონებს იღებს. ამის მაგალითად ექსპერტები ასახელებენ

ბენ ანტიდირიმიინაციულ კანონს, რომელსაც ზოგადად მიესალმა სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ ენინაალმდეგებოდა ეკლესია და ბევრი კონსერვატიულად განწყობილი მოქალაქე.

როგორ უნდა ამაღლდეს პარლამენტართა პროფესიული ქცევის სტანდარტები: რეკომენდაციები

ქართველ ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ 2004 წელს მიღებული ეთიკის კოდექსი სრულიად არაეფექტურია. ამიტომ პარლამენტი უნდა მიუბრუნდეს ამ საკითხების განხილვას, მაგრამ პრინციპულად სხვა დონეზე. ახალი დეკლარაციული დოკუმენტის მიღებას რაიმე შედეგი ვერ ექნება: თუმცა თავად პარლამენტთა ქცევის ნორმებზე დისკუსიის განახლება და ახალი შეთანხმების მიღწევა სასურველი და სასარგებლოა, ყურადღება უნდა გამახვილდეს დარღვევების მონიტორინგზე და რეაგირების კონკრეტულ მექანიზმებზე.

ამ მხრივ, შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა გზა. შესაძლოა, შექმნას პარლამენტართა ეთიკური ქცევის თვითრეგულირების მექანიზმი, იმის ანალოგიურად, რაც აქვთ ყურნალისტებს. საამისოდ საქართველოს პარლამენტმა თავის შიგნით უნდა შექმნას ორგანო, რომელიც შეისწავლის პროფესიული ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის თითოეულ შემთხვევას და მასზე დასკვნას გამოიტანს. პარლამენტართა ამ გადაწყვეტილებებს პრეცედენტის სტატუსი მიეცემა და ამან შეიძლება პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევის პრევენცია მოახდინოს.

სხვა მიდგომაა აღსრულების კონკრეტული მექანიზმის შექმნა, რომელიც კონკრეტული პირების პასუხისმგებლობას უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში, პარლამენტართა ეთიკური ქცევის ნორმების განახლებულ კოდექსში შეიძლება ჩაიდოს აღსრულების მექანიზმები, ან გარკვეული ნორმები და შესაბამისი სანქციები პარლამენტის რეგლამენტს დაემატოს. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია კონკრეტული საპარლამენტო ორგანოს შექმნა, რომელიც კონკრეტული შემთხვევების შეფასებას მოახდენს.

ამგვარი რეკომენდაციების განხორციელებისას აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა იმ მხრივ, რომ ეთიკური ქცევის რეგულირება არ იქცეს პოლიტიკური მანიპულაციის და ზენოლის იარაღად. პარლამენტი პოლიტიკური ორგანოა, აქ მიმდინარეობს უმრავლესობის და ოპოზიციის პაექრობა, რომელსაც საქართველოში განსაკუთრებით მწვავე და კონფრონტაციული ხასიათი აქვს. არის რისკი, რომ საპარლამენტო ეთიკის ნორმების დაცვის თემა უმრავლესობამ ოპოზიციასზე ზენოლის-

თვის გამოიყენოს. ამიტომ, ნებისმიერი მექანიზმის შექმნაზე ფიქრისას პირველ რიგში ეს საფრთხე უნდა იყოს გამორიცხული.

კერძოდ, გასათვალისწინებელია პოლიტიკოსის სიტყვის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვის რისკი. მაგალითად, ევროპის სასამართლოს სტანდარტით, განსაკუთრებით არის დაცული პოლიტიკოსის სიტყვის თავისუფლება. საერთაშორისო ნორმებით, ქცევის სტანდარტების შემოღება და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა არ შეიძლება იქცეს დამატებით შემზღუდველ ნორმებად და სანქცირების მექანიზმებად.

არაერთმა რესპონდენტმა უპირატესობა მიანიჭა განათლების და ცნობიერების ამაღლების ზომებს. მართალია, ისინი სწრაფ შედეგს ვერ მოგვცემს, სამაგიეროდ, ძირეული მიზეზების აღმოფხვრაზეა მიმართული. იმისათვის, რომ პარლამენტარებმა შეცვალონ დამოკიდებულება თავის მოვალეობათა შესრულების მიმართ, მნიშვნელოვანია, რომ მათმა ამომრჩეველმა უფრო კარგად გაიზაროს თავის წარმომადგენელთა ფუნქციები და ამოცანები და უფრო თანმიმდევრულად და აქტიურად მოსთხოვოს მათ ქცევის შესაბამისი სტანდარტების დაცვა.

ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება რაციონალური იყოს დეპუტატის ქცევის რეგულაციებში მეტი მოქნილობის შეტანა, რათა კეთილსინდისიერი დეპუტატი არ ჩადგეს სიტუაციაში, როდესაც ძალაუნებურად უხდება მათი დარღვევა – მაგალითად, ოჯახური მდგომარეობის მომიზეზება რაიმე საერთაშორისო ფორუმზე დასასწრებად. შეგვიძლია განვიხილოთ რუმინეთში დამკვიდრებული პრაქტიკა: როდესაც პარლამენტარი მივლინებისას დაფინანსებას სხვა წყაროდან იღებს, მას შეუძლია გააფორმოს ეს შემოსავალი როგორც “საჩუქარი“, რომლის დროსაც პარლამენტარი არ იმოქმედებს თავისი სრული უფლებამოსილებით და არ წარმოადგენს საკუთარ პარლამენტს.

დანართი I. რუმინეთის და მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტი

რუმინეთის პარლამენტი: ანგარიშის მოკლე რეზიუმე

პარლამენტის სტრუქტურა

- რუმინეთის საკანონმდებლო ორგანოს ნიმუშად საფრანგეთის მოდელი აქვს არჩეული. პარლამენტი ორპალატიანია და შედგება წარმომადგენელთა პალატისა და სენატისგან;
- საარჩევნო სისტემა დაფუძნებულია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქზე კომპენსაციის მექანიზმით. სენატორებისა და წარმომადგენელთა მანდატი 4 წლიანია;
- ბოლო არჩევნებზე, 2012 წლის დეკემბერში, აირჩიეს 588 პარლამენტარი (176 სენატორი და 412 წარმომადგენელი);
- პარლამენტის წევრები პოლიტიკურ ფრაქციებში ერთიანდებიან. თითოეული ფრაქცია სულ მცირე 8 პარლამენტარისგან შედგება.

საკანონმდებლო ჩარჩო

- რუმინეთის კონსტიტუცია

შეიცავს კონკრეტულ თავს (კარი 2), რომელიც ეხება პარლამენტის წევრის სტატუსს მისი მანდატის წარმომადგენლობითობის, შეუთავსებლობების და იმუნიტეტის თავლსაზრისით. მესამე კარი მოიცავს რამდენიმე თავს, რომელიც უკავშირდება ორი პალატის საკანონმდებლო აქტივობას.

- კანონი 96/ წარმომადგენელთა და სენატორთა სტატუსზე, 2006 წლის აპრილი

მოიცავს მთელ რიგ დებულებებს რომელიც ეხება: პარლამენტართა ქცევის წესს, შეუთავსებლობებს; შებლუდვებს და დეკლარაციის ვალდებულებას; საპარლამენტო იმუნიტეტს; სახელმწიფო სამსახურში მუშაობისას აღებულ უფლება-მოვალეობებს და დისციპლინურ სანქციებს.

- წარმომადგენლობითი პალატის შიდა წესდება

ეხება იმ წესებს, რომელიც გამოიყენება როგორც პლენარული სხდომების, ასევე წამყვანი კომიტეტების სხდომების ორანიზებისას. დოკუმენტი ასევე მოიცავს ხმის მიცემის წესებს.

- *სენატის შიდა წესდება*

ეხება იმ წესებს, რომელიც გამოიყენება როგორც პლენარული სხდომების, ასევე წამყვანი კომიტეტების სხდომების ორგანიზებისას. დოკუმენტი ასევე მოიცავს ხმის მიცემის წესებს და სანქციებს, რომელიც გამოიყენება ამ წესების დარღვევის შემთვევაში.

- *წარმომადგენლობითი პალატის და სენატის ერთობლივი შიდა ბრძანებები*

დოკუმენტში აღწერილია პროცედურები, რომელიც დაცული უნდა იყოს ორივე პალატის ერთობლივი სხდომის დროს.

პარლამენტართა შეუფერებელი ქცევის ძირითადი კატეგორიები

- *მრავალჯერადი ხმის მიცემა (სენატორი/წარმომადგენელი ხმას აძლევს კანონპროექტს პლენარულ სხდომაზე თავისი და კოლეგის ხმის მისაცემი ბარათით)*

წარმომადგენლობითი პალატის ქცევის წესის თანახმად, ხმას აძლევს ერთი ადამიანი (მუხლი 123). რაც შეეხება ელექტრონულ ხმის მიცემის სისტემას, დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ დაუშვებელია კოლეგის მაგივრად ხმის მიცემა.

- *გაცდენები და ქვორუმის უქონლობა*

სენატორთა და წარმომადგენელთა დებულების თანახმად, „წარმომადგენელთა და სენატორთა მონაწილეობა პალატის სამუშაო სესიებში არის სამართლებრივი, მორალური და მარეგულირებელი მოვალეობა“. „წარმომადგენელთა და სენატორთა სახელები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით აცდენენ სამუშაო სესიებს (პლენარული და მმართველი კომიტეტის სხდომები) ყოველთვიურად განთავსდება პალატის ვებ-გვერდზე, შემდეგი პროცედურები გაწერილია თითოეული პალატის შიდა წესდებაში.

- *კანონების მისაღებად ქვორუმის გაყალბება*

ამ ქმედებასთან დაკავშირებული დებულება არ არსებობს პალატაში. მსგავსი შემთხვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუმინეთის პარლამენტში, გაიგივებულია თაღლითობასთან, ისევე როგორც მრავალჯერადი ხმის მიცემა.

- *ინტერესთა კონფლიქტი*

სენატის შიდა რეგლამენტის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტი განსაზღვრულია როგორც: „ ვითარება რომლის დროსაც სენატორს აქვს თავისი პირადი ინტერესი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ობიექტურობაზე კონსტიტუციური და სამართლებრივი მოვალეობების განხორციელებისას. მსგავსი ტიპის დებულება არ არის წარმომადგენლობითი პალატის წესდებაში.

პარლამენტართა წესდებაში (შეუთავსებლობა, შებლუდვები და ინტერესთა კონფლიქტი) მთელი თავი ეძღვნება ამ საკითხს: „წარმომადგენლის/სენატორის მიერ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ არსებული კანონმდებლობის დარღვევა არის დისციპლინარული ქმედება და სანქციის სახით იწვევს დამრღვევის შემოსავლის 10%-ით შემცირებას 3 თვის განმავლობაში. სანქციის დაწესებას წყვეტს წარმომადგენელთა/სენატორთა პალატის მუდმივმოქმედი ბიურო.

- *არასათანადო/არაცივილური ქცევა*

წარმომადგენლობითი პალატის შიდა რეგლამენტის (მუხლი 153,1) თანახმად, „აკრძალულია სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება კოლეგისთვის პლენარულ ან წამყვანი კომიტეტის სხდომაზე“.

სენატის შიდა რეგლამენტის თანახმად, “პარლამენტარის სიტყვიერი შეურაცხყოფა არის დისციპლინარული ქმედება და არ არის დაშვებული პლენარულ სხდომებზე, წამყვანი კომიტეტის სხდომებზე, პარლამენტში ან მის ფარგლებს გარეთ, მაშინ როცა პარლამენტარი სარგებლობს სენატორის მანდატით.“

სენატორთა და წარმომადგენელთა დებულების თანახმად, „ქცევა, რომელიც შეურაცხყოფს პარლამენტარს პლენარულ სხდომაზე, წამყვანი კომიტეტის სხდომებზე, პარლამენტში და მის ფარგლებს გარეთ, არის დისციპლინარული ქმედება თუ მას კავშირი აქვს პარლამენტარის მანდატთან.

- *ოფიციალური თანამდებობის გამოყენება როცა ეს არ არის საჭირო*

არ არსებობს დებულება (არც წარმომადგენელთა და არც სენატორთა შიდა წესდებაში, რომელიც ეხება ოფიციალური თანამდებობის გამოყენების საკითხს არაოფიციალურ ვითარებაში).

- *სხვა სიტუაციები: შავი სამშაბათი და რჩეულთა სუპერ-იმუნიტეტი*

სისხლის სამართლის კოდექსის 253 მუხლი განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტს როგორც: მოვალეობის შესრულების დროს საჯარო მოხელეთა ქმედებას, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოაქვს მატერიალური სარგებელი ამ საქმეში ჩართული პიროვნებისთვის, მისი ცო-

ლისთვის, ნათესავისთვის ან ოჯახის წევრისთვის; ასევე მეორე პიროვნებისთვის, ვისთანაც მას აკავშირებს კომერციული თუ საქმიანი ურთიერთობა ბოლო 5 წლის განმავლობაში. მსგავს ქმედებას მოყვება სანქცია, კერძოდ: 6 თვიდან 5 წლამდე პატიმრობა და საჯარო სამსახურში მუშაობის აკრძალვის გახანგძლივება.

2008 წლის დეკემბრიდან დღემდე არცერთი სენატორის მიმართ არ გამოყენებულა სანქცია ამ კუთხით. გამოძიებათა უმრავლესობა ეხებოდა შეუთავსებლობას.

არსებობს სპეციალური თავი სანქციების შესახებ წარმომადგენელთა და სენატორთა წესდებაში, მაგრამ წესები მეტისმეტად ზოგადია და უმეტესობა ეხება წარმომადგენელთა ან და სენატორთა შიდა რეგლამენტის დადგენილებებს. ეს ორი დოკუმენტი წარმომადგენის სიტუაციის განსხვავებულ ხედვას, რომლის თანახმადაც სენატორებს და წარმომადგენლებს არ აქვთ თანასწორი უფლებები სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას.

რაც შეეხება მრავალჯერად ხმის მიცემას, პალატის შიდა რეგლამენტის თანახმად, დეპუტატების მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი სახის სანქციები: უარი ეთქვას პალატის სამუშაო სესიებში მონაწილეობის მიღებაზე მაქსიმუმ 15 დღის განმავლობაში. იმავე დროს, სენატის შიდა რეგლამენტის თანახმად, ერთადერთი მითითება მრავალჯერად ხმის მიცემაზე არის შემდეგი: ხმის მიცემის ბარათი არა-გადაცემალია.

რაც შეეხება პოტენციურ სანქციათა დებულებებს, ძალიან ზოგადია. მრავალჯერადი ხმის მიცემა მთლიანად ასოცირდება დისციპლინარულ ქმედებასთან, რომლის ყველაზე მკაცრი სანქციაა კონკრეტული შეხვედრის დროს პლენარული სხდომიდან პარლამენტარის გამოძევება.

სესიების არასაპატიო გაცდენის შემთხვევაში დეპუტატი იღებს შემცირებულ თვიურ გასამრჯელოს. სენატის შიდა წესდების თანახმად, "სენატის პლენარული სხდომის არასაპატიო განმეორებითი გაცდენა არის დისციპლინარული ქმედება დაჯარიმების გარეშე."

დეპუტატების მხრიდან მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში ისინი არ დაიშვებიან პალატის სამუშაო სესიებზე მაქსიმუმ 15 დღის მანძილზე ან, მუდმივმოქმედი ბიუროს გადაწყვეტილებით, დეპუტატის დროებითი გარიცხვა ხდება.

სენატი იმავდროულად აწესებს მნიშვნელოვან სანქციებს ქცევის წესების დარღვევაზე „საჯარო ან წერილობითი გაფრთხილებით“. სენატორს აღარ შეუძლია სენატის წარმოდგენა ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე 3 თვის განმავლობაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

საჭიროა ყველა იმ ნორმატიული აქტის ჰარმონიზაცია, რომელიც ეხება პარლამენტართა ქცევის წესს რუმინეთში. ამ შემთხვევაში სენატორებს და წარმომადგენლებს ექნებათ თანმიმდევრული და ნათელი ნორმები, რომლებიც მათ მოვალეობებს და სანქციებს განსაზღვრავს.

ქცევის კოდექსს შეიძლება მოყვებოდეს სახელმძღვანელო, რომელიც დეტალებში ახსნის, თუ როგორ უნდა მოხდეს ქცევის წესების გამოყენება და როგორ უნდა მოიქცეს პარლამენტის წევრი თითოეულ სიტუაციაში. წესების გადმოტანა შესაძლებელია ევროპის ქვეყნებში უკვე ძალაში შესული დოკუმენტებიდან.

რამდენადაც მრავალჯერადი ხმის მიცემა რუმინეთის პარლამენტში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა, საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტის ინიციატივაა სანქციის დაწესება, კერძოდ: 6 თვიდან 5 წლამდე პატიმრობა.

რუმინელ სენატორთა და წარმომადგენელთა ქცევის კოდექსი უნდა შეიცავდეს თავს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელიც განიხილავს ყველა პოტენციურ სიტუაციას. მათ შორის იმას, რომ სენატორმა ან წარმომადგენელმა თავი უნდა შეიკავოს ხმის მიცემისგან, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი განხილულ კანონპროქტთან მიმართებაში. წამყვანი კომიტეტის წევრებმა ან პლენარულმა სხდომამ კენჭისყრის მემკვიდრით უნდა გადაწყვიტოს, შეუძლია თუ არ სენატორს ან წარმომადგენელს კონკრეტულ კანონპროქტთან დაკავშირებით დებატებში მონაწილეობის მიღება.

საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი

მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტი: ანგარიშის მოკლე რეზიუმე

პარლამენტის სტრუქტურა

- მოლდოვას საკანონმდებლო ორგანო შედგება 101 პარლამენტარისგან
- პარლამენტი ერთპალატიანია
- პარლამენტარებს ირჩევენ მხოლოდ პარტიული სიით
- 2000 წლიდან მოლდოვა გახდა საპარლამენტო რესპუბლიკა, თუმცა იმავე პერიოდში პარლამენტისადმი ნდობა დაეცა
- 3 წლის განმავლობაში დეპუტატებმა ვერ შეძლეს პრეზიდენტის არჩევა და საკანონმდებლო ორგანო ორჯერ დაითხოვეს

- მოლდოვაში 5 წლის მანძილზე იყო 3 საპარლამენტო არჩევნები. ამ წლის ნოემბერში დანიშნულია მეოთხე საპარლამენტო არჩევნები.

საკანონმდებლო ჩარჩო

პარლამენტართა სტატუსი განისაზღვრება კონსტიტუციის 68 მუხლით, რომლის მიხედვით, „უფლებამოსილებების განხორციელებისას დეპუტატები ემსახურებიან ხალხს“, მაგრამ ეს მუხლი არ შეიცავს დებულებებს, რომელიც ეხება ეთიკასა და პარლამენტართა ქცევის წესებს. ერთადერთი რელევანტური საკითხი, რომელიც გამოყოფილია კონსტიტუციაში, პარლამენტარის სტატუსის შეუთავსებადობას ეხება.

